ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3461838

ნომერი: AR1523725

თარიღი : 17.07.2017

გაცემის თარიღი : 11.08.2017

გაცნობის თარიღი : 11.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ეფრემიძე პ/ნ 01008050596
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15 ბ. 97

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 17 ივლისს AR1523725 განცხადებით მომართა, შპს RAPOL -ის დირექტორის ფედრამ ქიან ფარსას მინდობილმა პირმა მარიამ ეფრემიძემ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით ქ.თბილისში, დიღმის

სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.007.047, ფართობი: 740 კვ.მ) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ივნისის №3323288 ბრძანებით, №490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდა ცვლილება და საპროექტო ობიექტად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ნაცვლად დაფიქსირდა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ, საპროექტო ობიექტად, ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას.
ქ. თბილისის მერის 2013 წლის 18 თებერვლის №233 განკარგულებაში ცვლილების და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ და მიეცა დადებითი რეკომენდაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეიტანოს ცვლილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს: „მოეწყოს ბინების შესაბამისი რაოდენობის ღია ან დახურული ავტოსადგომები, რომლებიც უნდა განთავსდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტროს საზღვრებში“.
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 07 აგვისტოს N1-1781 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.